საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №313
2018 წლის 28 ივნისი

ქ. თბილისი

საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელის ბინადრობის ელექტრონული მოწმობის (დროებითი და მუდმივი) ფორმებისა და ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 14 ივლისის №91 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელის ბინადრობის ელექტრონული მოწმობის (დროებითი და მუდმივი) ფორმებისა და ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 14 ივლისის №91 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge), 14.07.2011, სარეგისტრაციო კოდი: 010130000.22.027.016158) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. №1 დანართის („საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის ფორმა და ტექნიკური მახასიათებლები“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატს;“.

2. №2 დანართის („საქართველოში მცხოვრები უცხოელის მუდმივი ბინადრობის ელექტრონული მოწმობის ფორმა და ტექნიკური მახასიათებლები“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატს;“.

3. №3 დანართის („საქართველოში მცხოვრები უცხოელის დროებითი ბინადრობის ელექტრონული მოწმობის ფორმა და ტექნიკური მახასიათებლები“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატს;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **მიხეილ სარჯველაძე**